საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #57

2021 წელი 19 ოქტომბერი 13 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ა.ხუჯაძე, ლ.დარახველიძე
ქ.ჯოხაძე, ი.ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს ქონების მართვის და სფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და მოადგილე ლევან მიქავა

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (N:12-032128624-03 15.10.2021წ.)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარადგინა. დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები. მისი განცხადებით, 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა წარმოდგენილი პროექტით იზრდება 1 350,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 228 326,9 ათას ლარს. ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები.

ასევე გათვალისწინებულია ასიგნებების გადანაწილება შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 11 000,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 1 848,5 ათასი ლარით.

მცირდება საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) ქვეპროგრამის ასიგნება – 11 000,0 ათასი ლარით და პროგრამა ღონისძიებების უზრუნველყოფის ასიგნებები (კოდი 02 07) – 498,5 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 158 892,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 107 399,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 696 579,5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 157 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 19 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 504 579,5 ათასი ლარი. გრანტები 211 152,6 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო

ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 692,6 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 35 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 199 667,4 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 31 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 55 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 11 500,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 43 867,4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 228 326,9 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია 923 692,2 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 289 075,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 15 559,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 183 707,3 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 237 725,7 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 289 075,7 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 51 350,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (69 577,4) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (15 559,0) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 15 559,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 018,4) ათასი ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტი (წერილი (N:12-032128624-03 15.10.2021წ.) შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე